



ელექტრობა (მესამე საფეხური) (მოდულური პროგრამა)



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამის მოცულობა: 52კრედიტი /1300 სთ /

პროგრამის ხანგრძლივობა: 10 (ათი) სასწავლო თვე.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

მესამე საფეხურის ელექტრობის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად:

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი
- ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე
- შენობის ელექტრიკოსი
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დაბალი ძაბვის ელექტრობაში.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.